# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს



# ძვირფასო თელაველებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!
თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.
ჩვენ მიერ წარდგენილი თელავის მერობის კანდიდატისა და თელავის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს თელავის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს თელავი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.
სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# თელავის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5% ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7% მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან, 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ თელავის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს თელავის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 9 მლნ 23 ათასი ლარი იყო, 2021 წლის პროგნოზით, 20.3 მლნ ლარს აღწევს. იზრდება საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 13 მლნ 258 ათასი ლარია, 2021 წელს – 41,9 მლნ ლარამდე გაიზარდა.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ დან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**თელავის მუნიციპალიტეტში,** 2014 2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 3 პროექტი** (ჯამურად 5 474 814 ლარი, თანამონაწილეობა 1 732 835 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018 2021 წლებში, მხარდაჭერილია 13 პროექტი (ჯამურად 1 560 110 ლარი, თანამონაწილეობა 565 474 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015 2021 წლებში, 418 ჰექტარზე განხორციელდა 60 პროექტი (ჯამურად 3 375 599 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014 2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 8 541 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 82 969 692 ლარი), რითაც ისარგებლა 2 832 მა ბენეფიციარმა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 5 250 006 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 26 კოოპერატივი (319 მეპაიე, კაპიტალი 1 351 445 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით** 1 406 მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და, 2013 2021 წლებში, ჯამურად 300 810 149 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 38 937 846 ლარი). **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 26 პროექტი (ჯამურად 819 122 ლარი, თანადაფინანსება 327 649 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა** და შესყიდულია 1 306 613 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 653 306 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (15 პროექტი, ჯამურად 4 063 687 ლარი, თანადაფინანსება – 2 388 234 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (36 პროექტი, ჯამურად 1 770 833 ლარი, თანადაფინანსება 873 109 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013 2020 წლებში, დაიხარჯა 1 526 693 ლარი, წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 0 დან (2013 წელს) 700 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. კახეთი ქართული მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია. შესაბამისად, სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს რთვლის ეფექტიანად წარმართვას – თელავში, 2013 2020 წლებში, **გადამუშავებულია ჯამურად 265,65 ათასი ტონა ყურძენი** (მოსავლის ღირებულება 257,7 მილიონი ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო უსასყიდლოდ ახორციელებს სხვადასხვა **ვეტერინარულ ღონისძიებას**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად, მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 1660 ჰექტრამდე ზრდა.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** თელავის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 საწარმო (365 000 ლარი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელშეკრულება გაფორმდა 22 სასტუმროსთან, აქედან, 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, ხელი შეეწყო 21 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 77 149 689 ლარი, და საქმდა 716 ადამიანი, თელავს 582 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1 062 532 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 1 412 059 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 117 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 57, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 60 პროექტი).

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.**

**2013-2021 წლებში, კახეთის რეგიონში, ექსპლოატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური** – ხადორიჰესი 2, შილდაჰესი, ალაზანიჰესი 2, ახმეტაჰესი, ფშაველაჰესი, შილდაჰესი 1, ავანიჰესი 3,50. მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 32 მგვტ ია, ჯამური ინვესტიცია 39 მლნ აშშ დოლარი. **კახეთის რეგიონში იგეგმება შემდეგი ენერგეტიკული პროექტები**: **სტორიჰესი-1** – 18,3 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-1** – 6,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,8 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-2** – 39,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ, სიმძლავრე – 26 მგვტ; **ხადორიჰესი-3** 6,2 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,4 მგვტ; **ლოპოტა ჰესი 1** – 16 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 8 მგვტ; **ბაისუბანი ჰესი** – 5,1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,34 მგვტ; **ახალსოფელი ჰესი –** 5,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5 მგვტ; **სტორი 2 ჰესი –** 20,7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე – 11,4 მგვტ; **სტორი 3 ჰესი –** 7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4 მგვტ; **ფონა ჰესი –** 11,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 10,6 მგვტ; **დეკა ჰესი –** 1,79 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 1,2 მგვტ; **საჩალე ჰესი –** 1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,7 მგვტ. **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა მზის ელექტროსადგურების** პროექტები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ ს აჭარბებს, გამომუშავება 110 მლნ კვტ/სთ ს უტოლდება (დამატებით 50 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია).

თელავის მუნიციპალიტეტში, 2013 2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 1 287 აბონენტი. 2013 2017 წლებში, 4 279 აბონენტს დაუმონტაჟდა



თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფშაველი

**ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** ჩატარდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი. 2015-2021 წლებში, განხორციელდა ტრენინგები ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის. გადამზადდა ტურიზმის სფეროში დასაქმებული/დასაქმების სურვილის მქონე 800-მდე ადამიანი.

**ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდა შემდეგი პროექტები:** თელავსა და მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ეთნო-კულტურული ფესტივალების, ახალგაზრდული მუსიკისა თუ სპორტული კამპანიების ორგანიზება-ჩატარება; თელავში ტურისტული კემპინგის ზონის მოწყობა; ქ. თელავის შესასვლელებში (სამი მხრიდან) თაღების მოწყობა; ტურისტული ობიექტების მიმდებარედ და სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტსა თუ ბილიკზე საინფორმაციო აბრებისა და საგზაო მანიშნებლების დამონტაჟება; ტურიზმის განვითარება და წახალისება – „ცოდნის ტრანსფერი“.

თელავში დამონტაჟდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, საინფორმაციო საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ახლომდებარე ტურისტული ადგილების შესახებ; პროექტით „ღვინის გზა“ განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე გაცემულია 126 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 24 155 კუბ.მ ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

**კლიმატის მწვანე ფონდმა (GCF), 2020 წლის აგვისტოში, დაამტკიცა 32,7 მლნ ევროს გრანტი,** რომლის მთავარი მიზნებია: საქართველოში სატყეო სექტორის წვლილის შეტანა კლიმატის ცვლილების შერბილებაში და მიმდინარე სატყეო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა. პროექტის მოიცავს საქართველოს სამ რეგიონის, გურიის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის 8 მუნიციპალიტეტს (ახმეტა, **თელავი,** დედოფლისწყარო, ყვარელი, თიანეთი, ლანჩხუთი ოზურგეთი და ჩოხატაური, 2021-2027 წ.წ.).

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ასევე მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 3 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, თელავის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, თელავში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 32 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 3 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ ხელისუფლებამ 6,9 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წ.წ. მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, თელავის 3 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 485 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, თელავის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 30 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. **2021 წელს დასრულდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის შემდეგი პროექტები:** ქ. თელავის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის III ფაზა, I ეტაპის სამშ. სამუშაოები – მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების წყალმომარაგების შიდაკომუნიკაციის მოწყობა და მათი სრული გამრიცხველიანება, სამი ახალი ჭაბურღილისა და საქლორატოროს მოწყობა – 3 004 675.00 ლარი; ქ. თელავის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გამრიცხველიანების დამატებითი სამუშაოები – 423 096.00 ლარი; **მიმდინარეობს** ქ. თელავში, „წინმატიანის“ სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური მილსადენის პროექტირება/მშენებლობა – 7 558 769.00 ლარი.



აბანოს ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაცია დასრულდა

**2021-2022 წლებისთვის, თელავის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- ქ. თელავში, საცხოვრებელი კორპ. ეზოების კეთილმოწყობა – 3 304 037 ლ;
- სოფ. წინანდლის შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 999 900 ლ;
- ქ. თელავში, სოხუმის ქ. სარეაბილიტაციო სამუშაოები – 229,399 ლ;
- ქ. თელავში, მეგობრობის ქ. გზის მოწყობა – 229 303 ლ;
- ქ. თელავში, ერისთვის ქ. ქვაფენილის მოწყობა – 177 633 ლ;
- სოფ. კურდღელაურში, შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 171 344 ლ;
- სოფ. გულგულის წყალმომარაგების შიდაქსელის რეაბილიტაცია – 183 341 ლ;
- ქ. თელავში, აბანოს I შეს. რეაბილიტაცია – 75 079 ლ;
- სოფ. ბუშეტში, გზის რეაბილიტაცია – 103 314 ლ;
- ქ. თელავში, ლეონიძის ჩიხის რეაბილიტაცია – 58 720 ლ;
- ქ. თელავში, ლეონიძის ქ. რეაბილიტაცია – 768 441 ლ;
- ქ. თელავში, თეიმურაზ II ქ. რეაბილიტაცია – 96 883 ლ;
- სოფ. აკურის შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 284 980 ლ;
- სოფ. ნასამხრალის შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 128 936 ლ;
- სოფ. ნასამხრალში, საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოწყობა – 128 551 ლ;
- სოფ. შალაურის შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 103 203 ლ;
- სოფ. ართანის შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 511 137 ლ;
- გაგრძელდება კახეთის მიმართულებით **ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა,** მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15-კმ-იანი, თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16-კმ-იანი მაგისტრალების მშენებლობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# ლევან ანდრიაშვილი: „თელავის მუნიციპალიტეტის მერობა შანსია, ღირებული გავაკეთო თელავისთვის“

**„მიყვარს ჩემი მშობლიური თელავი, თითოეული თელაველი, მაქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება, კარგად შემიძლია ხალხთან ურთიერთობა და მუნიციპალიტეტში ჩემს ოჯახს კარგად იცნობენ“, – აცხადებს „ქართული ოცნების“ თელავის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი ლევან ანდრიაშვილი. ამბობს, რომ თელავში დიდი გეგმები აქვს. ამბობს იმასაც, რომ მისთვის თელავის მერობა უდიდესი პასუხისმგებლობა და პატივია. საარჩევნო მარათონში ჩართვის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ სურს, მშობლიური თელავის განვითარებაში წვლილი თავადაც შეიტანოს.**



დაიბადა 1982 წლის 2 ნოემბერს.

1988-1999 წლებში სწავლობდა თელავის №3 საჯარო სკოლაში, 1999-2004 წლებში – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. აქვს მაგისტრის ხარისხი. 2004-2005 წლებში იყო სტაჟიორი სააღსრულებო დეპარტამენტში, 2005-2006 წლებში – იმავე დეპარტამენტის სპეციალისტი, 2006-2008 წლებში კი სააღსრულებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა სამმართველოს მრჩეველი. 2008-2009 წლებში მუშაობდა მრჩევლად შიდა ინსპექტირების სამსახურში; 2009-2012 წლებში იყო რეგიონული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი; 2010-2012 წლებში – კახეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსი (შეთავსებით). 2014-2015 წლებში გახლდათ სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსი. 2015-2016 წლებში ადმინისტრაციის (სამმართველო) უფროსი; 2016-2016 წლებში – ადამიანური რესურსებისა და ხარისხის მართვის მთავარი სამმართველოს უფროსი. 2016-2018 წლებში ტერიტორიული სერვისების მთავარი სამმართველოს, რეგიონული მართვის სამმართველოს უფროსი. 2018-2020 წლებში იყო პროექტების განვითარების სამმართველოში, პროექტის მენეჯერი. 2020-2021 წლებში კი რუსთავის ცენტრალურ დეპარტამენტში – მოადგილე.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

**– ბატონო ლევან, მუნიციპალიტეტში თქვენს ოჯახს რით იცნობენ და თელავში როგორი ბავშვობა გაატარეთ?**

– თელავში იურისტ დავით ანდრიაშვილისა და მუსიკათმცოდნე თინათინ კაპანაძის ოჯახში დავიბადე. მამაც თელავში დაბადებულ-გაზრდილი იყო. მას სამი ძმა ჰყავდა, მათ შორის ერთი ტყუპისცალი. ჩვენი ოჯახი კახეთში ცნობილი იმითაც იყო, რომ ოთხივე ძმა სპორტსმენი გახლდათ. მამა ტანმოვარჯიშე, ოლიმპიადების, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ჩემპიონატის გამარჯვებული იყო. მისი ცხოვრების სტილი ჩემზე დიდ გავლენას ახდენდა; ვცდილობდი, მეც ცხოვრების ჯანსაღი წესით მეცხოვრა და სწავლის პარალელურად, მევარჯიშა. მეორე პროფესიით კი, მამა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა პოლიციასა და პროკურატურაში. ბოლო წლებამდე, ძალიან აქტიურად ცხოვრობდა. განსხვავებული პიროვნება – დისციპლინირებული, მოწესრიგებული, მიზანდასახული, სამართლიანი და ავტორიტეტული იყო. დედა წლების განმავლობაში თელავის მუსიკალურ სასწავლებელში ასწავლიდა. ჰქონდა მცდელობა, ფორტეპიანოზე დაკვრა მეც მესწავლა, მაგრამ უფრო მამის პროფესიებისკენ ვიხრებოდი და სამწუხაროდ, მუსიკით არ დავინტერესდი. მყავს ერთი და – ნინო, ჩემზე უფროსი. მხატვარ-დიზაინერი. ამჟამად არის თბილისის სახლ-მუზეუმების გაერთიანების მხატვარ-დიზაინერი. ასევე გახლავთ საიუველირო კომპანია „კებზარის“ თანადამფუძნებელი.

ბავშვობა თელავში გავატარეთ. იმ წლებს დღესაც ტკბილად ვიხსენებ. დიდი უბანი გვქონდა, უამრავი ბავშვით. დაღამებამდე ვთამაშობდით ფეხბურთს, ვერთობოდით, ვსაუბრობდით, მდინარეზე მივდიოდით... წლები გადის, ცხოვრების დინება თავისთავად გაშორებს ბავშვობის მეგობრებს, მაგრამ მათთან ერთად გატარებული დღეები არასდროს გავიწყდება ისევე, როგორც არ გავიწყდება სკოლის წლები – ნიკო მუსხელიშვილის სახელობის მესამე საჯარო სკოლა დავამთავრე, რომელიც, პრაქტიკულად, ნადიკვარის პარკთანაა გადაბმული. აქ იყო თეატრი, კაფე, ატრაქციონები და უმეტეს დროს ამ პარკში ვატარებდით. უფრო ტექნიკური საგნები მიყვარდა, მაგრამ არჩევანი საბოლოოდ, იურიდიულზე შევაჩერე.

**– მამის პროფესიის გავლენით?**

– დიახ... მამა ჩემთვის მისაბაძი ადამიანი იყო, მისი პროფესია, საქმიანობა ჩემზე შთაბეჭდილებას ახდენდა. განმსაზღვრელი ფაქტორი ალბათ ისიც გახლდათ, რომ მამის მეგობრების შვილებთან ვმეგობრობდი. მის გარშემო, ძირითადად, მისი პროფესიის ხალხი ტრიალებდა. მათთან საუბარი, ურთიერთობა კი, თავისებურ გავლენას ახდენდა. თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე, მეხუთე კურსიდან კი იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში (ახლანდელი აღსრულების ეროვნული ბიურო) სტაჟიორად დავიწყე მუშაობა. არასდროს დამავიწყდება სამსახურში მისვლის პირველი დღე. ძალიან კარგი, ლაღი სტუდენტური წლების შემდეგ, უცებ აბსოლუტურად სხვა გარემოში აღმოვჩნდი. მერე იყო რეჟიმზე, დისციპლინაზე მიჩვევა, პროფესიონალ ადამიანებთან შეხვედრა და დიდი გამოცდილების მიღება. მაქსიმალურად ვცდილობდი წარმატებისთვის მიმეღწია, არასდროს დამზარებია საქმის კეთება. მაშინ დავრწმუნდი, რომ ზოგადად, ცხოვრებაში, მთავარი მონდომება და თავდაუზოგავი შრომაა, მერე ყველაფერი გამოვა. მალე უფროს სპეციალისტად გადამიყვანეს, რაც ძალიან საპასუხისმგებლო პოზიცია იყო. ასაკიც ისეთი მქონდა, წინსვლის აზარტში რომ შედიხარ. კიდევ არაერთი პოზიცია მქონდა გასავლელი, უამრავი სირთულით.

**– სირთულე იმ მოქალაქეებთან ურთიერთობა არ იყო, ვისთანაც გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულების მიზნით მიდიოდით?**

– დიახ, ნამდვილად არ იყო მარტივი. უამრავ გაჭირვებულ, გულნატკენ ადამიანს ვხვდებოდი, რომლებსაც ფინანსური ვალდებულება ჰქონდათ შესასრულებელი და ვერ ასრულებდნენ. ასევე იყო მეორე მხარე, მომჩივანი, რომელიც თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ითხოვდა და ამ ადამიანებთან უშუალო ურთიერთობა გვქონდა. ძალიან რთულია, როცა ხედავ, რომ ადამიანს თანხა აქვს გადასახდელი, მაგრამ ფიზიკურად არ აქვს ამის საშუალება. ნამდვილად არ იყო მარტივი ამ დროს ოქროს შუალედის მოძებნა.

**– თქვენ როგორ ახერხებდით „ოქროს შუალედის“ პოვნას და ზოგადად, რატომ არის იმ სამსახურის ფუნქციონირება მნიშვნელოვანი, რომელიც მოსახლეობის ნაწილის ქვეცნობიერში, არცთუ დადებით ემოციებს აღძრავს?**

– „ოქროს შუალედის“ პოვნა შესაძლებელია კანონით. ეს სამსახური არ არის ადამიანურ გრძნობებზე დამყარებული. მის ფუნქციონირებას კანონი არეგულირებს. რაც შეეხება მის მნიშვნელობას, როგორ ემოციებსაც არ უნდა აღძრავდეს ის საზოგადოებაში, ერთი რამ ფაქტია – აღსრულების ეროვნული ბიუროს ფუნქციონირებას ქვეყნისთვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან ეს არის სამოქალაქო და სხვადასხვა ხასიათის დავების ცივილურად გადაჭრის ერთადერთი საშუალება. ეს არის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმი. ანუ, მოქალაქეები პირადი ურთიერთობით კი არ აწესრიგებენ თავიანთ ვალდებულებებს ერთმანეთთან, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამას ცივილური და დემოკრატიული ფორმით აკეთებს ეს სამსახური.

**– გარკვეული პერიოდი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყავით და სულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, რეგიონული მართვის სამმართველოს უფროსი და სხვა პოზიციები. 2012 წელს სამსახურიდან თქვენი წამოსვლა პოლიტიკურ პროცესს ხომ არ უკავშირდებოდა?**

– სამსახურიდან წამოსვლა ოჯახური მიზეზების გამო მომიწია. ძალიან ძნელია, როცა შრომობ, გარკვეულ პოზიციებს მოიპოვებ და უცებ გიწევს წამოსვლა. თუმცა მაშინ ოჯახში ერთად მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. საქმე ისაა, რომ ჩემი მეუღლე მაშინ ავსტრიაში დიპლომატიური მისიით წავიდა. ჩვენი შვილი პატარა იყო. არ იყო მარტივი, მაგრამ მე და ჩემი მეუღლე ყოველთვის ვუქმნით ერთმანეთს კომფორტს, არასოდეს ვუშლით ხელს კარიერულ და სამსახურებრივ წინსვლაში. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება და ავსტრიაში ოჯახთან წავედი.

**– მეუღლის დიპლომატიური მისია კი ამოეწურებოდა, მაგრამ ალბათ, ავსტრიაში დარჩენის შესაძლებლობა გაგიჩნდებოდათ. საზღვარგარეთ დამკვიდრებაზე არასდროს გიფიქრიათ?**

– ავსტრიაში არაჩვეულებრივი პი-



რობები იყო, მაგრამ ყოველდღიურად მაინც საქართველოში დაბრუნებაზე და იმაზე ვფიქრობდი, რომ როცა 2015 წელს მეუღლეს დიპლომატიური მისია ამოეწურებოდა, ჩამოვსულიყავი და ისევ დამეწყო მუშაობა. საზღვარგარეთ დამკვიდრებაზე არასდროს მიფიქრია. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში დავიწყე მუშაობა. ეს კიდევ უფრო დიდი გამოწვევა იყო და ზუსტად ვიცოდი რომ გავართმევდი თავს ახალ გარემოში. მომსახურების სააგენტოს სახელი უკვე მიანიშნებს, რომ სამსახური ორიენტირებულია სერვისზე, მომხმარებლის მოთხოვნილების სწრაფ, მყისიერ შესრულებაზე. აქ მუშაობა საინტერესო იყო, რადგან აქაც მიწევდა პირდაპირი ურთიერთობა მომხმარებელთან.

**– ყველა პოზიციაზე ყოფნის დროს, ხალხთან უშუალო ურთიერთობა გქონდათ; ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ამომრჩეველთან ურთიერთობა არ გაგიჭირდებათ?**

– მართალი ბრძანდებით. საჯარო სამსახურში მუშაობის განმავლობაში, მუდმივად მქონდა ურთიერთობა მოქალაქეებთან. გამარჯვების შემთხვევაში კი, მომეცემა საშუალება, ვემსახურო ჩემი ქალაქის, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ. მექნება შესაძლებლობა მათთან ერთად ვუპასუხო ახალ გამოწვევებს და ვიყო, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარების პროცესში ჩართული.



**– რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს თელავი?**

– მიუხედავად იმისა, რომ თელავში ძალიან ბევრი პროექტი განხორციელდა, გამოწვევები, რა თქმა უნდა, რჩება. მათგან ერთ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანია წყლის საკითხი. მიუხედავად არსებული რესურსისა, კომუნიკაციები არის მოძველებული, ახალი ჭაბურღილების დამატება, მთლიანად სისტემის შეცვლაა საჭირო. თელავის მუნიციპალიტეტი ძალიან საინტერესოა, როგორც ადგილობრივებისთვის, ისე უცხოელებისთვის. ტურიზმი ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების უდიდესი პერსპექტივაა. სატახტო ქალაქ თელავში და ასევე სოფლებშიც, უნიკალური ისტორიულ კულტურული ძეგლებია. უამრავი ტურისტი ჩამოდის მათ სანახავად, ინტერესი დიდია. ტურისტული ინფრასტრუქტურა უფრო უნდა განვავითაროთ. არსებული ინფრასტრუქტურა ჯერ პასუხობს, მაგრამ საჭიროა დროულად მოდერნიზება. მიხარია, რომ უამრავი საოჯახო სასტუმროა.

თელავის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად დასახელება, ჩემთვის უაღრესად დიდი პატივია. ამავდროულად ეს უდიდესი შესაძლებლობაა პირადად მქონდეს ურთიერთობა მუნიციპალიტეტის თითოეულ მაცხოვრებელთან. პირადად მივიღო მონაწილეობა, თელავის და მის 29 ვე სოფელში არსებული გამოწვევების საპასუხო ღონისძიებებში. გამოგიტყდებით, პირველ რიგში, მინდა, გავაკეთო ის, რაც ბავშვობაში მინდოდა თელავში ცხოვრება უფრო კომფორტული იყოს, ინფრასტრუქტურა კი მაქსიმალურად მოწესრიგებული. ჩემი ერთ ერთი მთავარი მიზანი, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, ახალგაზრდობაზე ზრუნვაა. დიდი სურვილი მაქვს, თელავს ჰქონდეს საუნივერსიტეტო ქალაქის სტატუსი, რადგან აქ არის შესანიშნავი სასწავლებელი და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი მეტად განვითარებაა შესაძლებელი, რათა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, აქვე მიიღონ უმაღლესი განათლება.

**– ფიქრობთ, რომ ეს მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების გადინების შემცირებას შეუწყობს ხელს?**

– რა თქმა უნდა. ჩვენი სასწავლებლები უნდა გახდეს კიდევ უფრო მეტად კონკურენტული და პრესტიჟული. ახალგაზრდებს თელავიდან წასვლა აღარ უნდა უწევდეთ საქართველოს სხვა ქალაქებში.

**– ამბობთ, თელავში ბევრი პროექტი განხორციელდაო. აქ დაბრუნების შემდეგ, პროგრესი თვალშისაცემი იყო?**

– სამსახურის მიუხედავად, თელავიდან არ წავსულვარ და ურთიერთობა არასოდეს გამიწყვეტია. ცვლილებები ერთი შეხედვითაც ჩანს. თვალშისაცემი იყო ის ნაბიჯები, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ქვეყნის განვითარების მიზნით გადადგა. ამიტომ ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ უალტერნატივო გუნდია, რომელსაც შეუძლია ყველა გამოწვევას უპასუხოს. ამ მიზეზით ვარ დღეს გუნდის წევრი. და მათი მხრიდან შემოთავაზება, ვიბრძოლო თელავის მუნიციპალიტეტის მერობისთვის, ჩემთვის უნიკალურია, რადგან როგორც თელაველს, მომეცა შესაძლებლობა, ჩემი გამოცდილებით, ოჯახის თანადგომით, უამრავი მეგობრის მხარდაჭერით, ჩემი მუნიციპალიტეტისთვის მაქსიმალურად დავიხარჯო და შევქმნა რაღაც ღირებული ჩემი საყვარელი თელავისა და მისი სოფლებისთვის.

**– ისე, თქვენი აზრით, თავად გუნდმა რატომ შეარჩია არჩევანი თქვენზე და ნდობა გამოგიცხადათ?**

– ალბათ იმიტომ, რომ ვარ ადგილობრივი – თელაველი, კარგად ვიცნობ მუნიციპალიტეტს, მაქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება, კარგად შემიძლია ხალხთან ურთიერთობა, მიყვარს თითოეული თელაველი და მუნიციპალიტეტში, ჩემს ოჯახსაც კარგად იცნობენ. გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ!



# „დიპლომატიური ოჯახის“ სიმტკიცის საიდუმლო

ლევან ანდრიაშვილის ცხოვრების თანამგზავრიც თელაველია. ერთმანეთი სწორედ აქ გაიცნეს. ოჯახის შექმნის დროს, ორივეს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობა, ერთმანეთის წინაშე სწორი პოზიციების დაფიქსირება, ცხოვრებისეულ გამოწვევებთან ერთად გამკლავება, ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნა, კარიერულ წინსვლაში ერთმანეთის ხელშეწყობა, ყველა გადაწყვეტილების ერთობლივად მიღებაა. წლებია, ამ პრინციპით მოდიან და ამბობს, რომ ერთმანეთთან სწორედ ასეთი დამოკიდებულებაა მათი ოჯახის სიმტკიცის საიდუმლო.

„შესანიშნავი მეუღლე, შესანიშნავი ადამიანი, შესანიშნავი დედა, რომელიც 2006 წლიდან ოფიციალურად მიდგას გვერდით. ეს არის ჩემი ყველაზე დიდი და საყრდენი, თანამოაზრე, ადამიანი, რომელთანაც ნებისმიერ თემაზე მიხდება საუბარი, არის უაღრესად კარგი მრჩეველი“, – ასეთია კანდიდატის თვალით დანახული მეუღლე.

თეა მაისურაძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი დაამთავრა. დაოჯახებიდან მალევე მუშაობა საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო. 2010 წელს ავსტრიაში გაიწვიეს, საქართველოს საელჩოში. მაშინ შვილი, დათა (დავითი) პატარა იყო. როგორც ყოველთვის, აწონ დაწონეს ოჯახისთვის, ქალბატონი თეას კარიერული წინსვლისთვის და რაც მთავარია, პატარა დათასთვის რა სჯობდა და საცხოვრებლად ავსტრიაში გადავიდნენ. დღეს დათა 14 წლისაა. ქალბატონი თეა აჟამად საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია ლატვიის რესპუბლიკაში. ახლაც ერთად გადაწყვიტეს, რომ ბატონი ლევანი საქართველოში დარჩენილიყო. დათა კი დედასთან ცხოვრობს.

„რთულია, მაგრამ ამჯერად ასე სჯობდა. ვცდილობ, დათას ყურადღება არ მოაკლდეს. მითუმეტეს, მოზარდია და მამის გვერდით დგომა განსაკუთრებით სჭირდება“, – ამბობს კანდიდატი და იმასაც გვიმხელს, რომ დათა ყველა არდადეგებს საქართველოში ატარებს. ახლაც თელავშია და საარჩევნო მარათონში მამას ამხნევებს, მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარია.

დათას მუსიკის და კულინარიის და დიდი ინტერესი აქვს. უყვარს სპორტი – სპორტსმენ პაპასთან გატარებული წლები კარგად ახსოვს და მისი გავლენით, დღესაც ცხოვრების ჯანსაღ წესს ირჩევს. დადის კალათბურთზე, ვარჯიშობს და სურს, რომ სპორტს მომავალშიც არ ჩამოშორდეს.

როდესაც ოჯახში მერობისთვის ბრძოლის საკითხს განიხილავდნენ, კანდიდატის დედამ ინერვიულა, და ბუნებრივიც არის, რადგან ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. თუმცა ოჯახის ყველა წევრი დარწმუნებულია, რომ ამ პასუხიმგებლობას ლევან ანდრიაშვილი ღირსეულად უპასუხებს და თელავის მუნიციპალიტეტისათვის არაერთ კარგ საქმეს გააკეთებს. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ თელავში დაბადებულ გაზრდილს მშობლიური მუნიციპალიტეტი უზომოდ უყვარს.

თავისუფალ დროს ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად ატარებს, ვარჯიშობს ან უბრალოდ ქუჩებში სეირნობს. ამ დროს მას გვერდს ოჯახის საპატიო წევრი, კანდიდატის საყვარელი ოთხფეხა მეგობარი, ჯეკ რასელ ტერიერი, 3 წლის ჯეკი უმშვენებს. ჯეკიმ ოჯახში განსაკუთრებული მხიარული გარემო შექმნა. როცა დათა საქართველოშია, ჯეკის მამა შვილი ერთად ასეირნებს და ამ დროს ყველა ფერზე გულახდილად საუბრობენ, განვლილ ცხოვრებას აანალიზებენ და სახავენ მომავლის გეგმებს, რომელთა შორის უკვე თელავის მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაცაა.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **თელავის მუნიციპალიტეტზე,** გამოიყო 65 456 458 ლარი, დაფინანსდა 116 964 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (5 578 853,1 ლარით 359 586 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 447 507 ლარით 60 663 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (40 762 530 ლარით 31 437 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (11 659 529 ლარით 12 045 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 990 461 ლარით 5058 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 963 042 ლარით 6 136 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, **თელავის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 7 737 ბენეფიციარი (511 199 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **თელავის მუნიციპალიტეტში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 2020 წლის მაჩვენებლებით შეადგენს 89.6%. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **თელავში,** სტაციონარული მკურნალობით 171-მა (622 625 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1410-მა პაციენტმა (191 932 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 8 302 ორსული (457 452 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 2277.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **თელავის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 811 პირი, დაიხარჯა – 157 917 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, **თელავის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **თელავში,** 2013-2021 წლებში, სულ 807 შემთხვევა 1 437 773 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **თელავის მუნიციპალიტეტს 67 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, თელავში მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ახალი ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში იყალთო (70 000) და ქვემო ხოდაშენი (77 743 ლ). ამბულატორიების ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში: კურდღელაური (38 000 ლ), აკურა (37 480 ლ), თეთრიწყლები (40 736 ლ). კისისხევი-ნასამხრალი (26 604 ლ), ფშაველი (762 ლ), ნაფარეული (16 114 ლ), ლაფანყური (13 000 ლ). სოფელ ნაფარეულში აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ცენტრი (116 956 ლ).

2013 წელთან შედარებით, **თითქმის 5-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 442,5 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. 90,0 ათასი ლ).

**თელავში, 2012 წლიდან ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის 12 მუნიციპალური პროგრამა.** მათ შორის, ოპერაციული სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურეობისათვის ფინანსური დახმარების ქვეპროგრამა, სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების ან/და მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა, სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამა, ონკოლოგიურ პაციენტთა სამედიცინო მომსახურების, მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების ან/და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დაფინანსების ქვეპროგრამა და სხვ.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.




**იაპონიის საელჩომ თელავს რეანომობილი გადასცა**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **თელავის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 13 379 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,5-ჯერ – 14 632 806-დან 36 096 023 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2020 წლებში, სულ 222 316 360 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **თელავში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 187 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,5-ჯერ – 221 529-დან 1 047 101 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ კომპენსაციებზე 6 934 522 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვევით მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **თელავის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი 2408 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,3-ჯერ – 2 107 ათასიდან 5078 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 37 738 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 9 757 ათასი, შშმ პირებზე – 3 474 ათასი, ბავშვებზე – 12 926 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **თელავში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2 402 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,9-ჯერ – 674 896-დან 4 003 355 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 26 144 864 ლარი.

**თელავის მუნიციპალიტეტში 386 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 123 324 ლარიდან 208 170 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 643 218 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **თელავი მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 41 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 16 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 25 ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **თელავში,** დაფინანსებულია 275 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 815 610 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 490 200 ლარი.



**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან თელავის მუნიციპალიტეტზე – 2 804 725 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, **თელავის მუნიციპალიტეტში** ჩართული იყო 1 305 ოჯახი, 2021 წელს – 1 492. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, **თელავის მუნიციპალიტეტში,** 2020 წელს ისარგებლა 313-მა ოჯახმა, 2021 წ. – 354 ოჯახმა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით), თელავში, პროგრამაში, 2020 წ. ჩაერთო 601 პირი, 2021 წ. – 614 (ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (**6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **5-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2169,9 ათასი ლარი შეადგინა, (2013 წ. – 431,8 ათასი ლ). თელავში, 2012 წლიდან დღემდე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება სოციალური დახმარების 12 მუნიციპალური პროგრამა.

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა,** მათ შორის ახალშობილ ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ შშმ პირთა 18 წლამდე შვილების დახმარების ქვეპროგრამა, ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის დაფინანსების, ელექტროენერგიის გადასახადის თანადაფინანსების, დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით დაფინანსების, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების დაფინანსების, 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით დაფინანსების ქვეპროგრამა და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.




2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** თელავში ფუნქციონირებს 31 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (9 – ქ. თელავში, 22 – სოფლად).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა თელავში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 5 მლნ 656,5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 4 მლნ 166,9 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 1 მლნ 151,6 ათასი ლარი იყო.

**2013-2021 წლებში, სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს.** 2013 წელს განხორციელდა ბაღების რეაბილიტაციის პროექტები ქ. თელავსა და მუნიციპალიტეტის 8 სოფლის საბავშვო ბაღებში, რაზეც, ჯამში, 442,5 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელი** – რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 სოფლის საბავშვო ბაღს. **2015 წელი** – დაფინანსდა მუნიციპალიტეტის 15 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, მათ შორის: ქ. თელავის №2 ბაგა-ბაღის რეაბილიტაციას 244 ათასი ლარით, №6 ბაგა-ბაღის – 187,2 ათასი ლარით, №7 ბაგა-ბაღის – 224,8 ათასი და №9 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია – 265 ათასი ლარით. **2016 წელი** – ქ. თელავის 4 და მუნიციპალიტეტის სოფლების 9 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ჯამში, 1.6 მლნ ლარი მოხმარდა. **2017 წელს დასრულდა:** სოფ. გულგულას, ლაფანყურისა და ლალისყურის საბავშვო ბაღებში გათბობის ახალი სისტემების მოწყობა (31,7 ათასი ლარი); სოფელ იყალთოს საბავშვო ბაღი (173, 8 ათასი ლარი). ასევე, ქ. თელავის №3 და №5 ბაგა-ბაღებში სველი წერტილებისა და ფანჯრების რეაბილიტაციას 115,6 ათასი ლარი მოხმარდა. განხორციელდა ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის 10 პროექტი სოფლებში, რაზეც, ჯამში, 335,6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2018 წელს –** სოფელ ნასამხრალის ბაგა-ბაღის რეაბილიტაციას 183 ათასი ლარი მოხმარდა (რეგიონული განვითარების ფონდი). **2019 წელს** დასრულდა: სოფელ ბუშეტის საბავშვო ბაღში დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია (24, 4 ათასი ლარი); კისისხევის საბავშვო ბაღის სახურავის შეცვლა (271, 2 ათასი ლარი); კონდოლის საბავ-

**41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო**

შვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა და შიდა რემონტი (19, 6 ათასი ლარი); სოფ. ნასამხრალის საბავშვო ბაღის სახურავის შეცვლა (29, 6 ათასი ლარი). **2020 წელს – რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა** სოფ. აკურის ბაგა-ბაღისა (90,9 ათასი ლარი) და წინანდალის ბაგა-ბაღის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (312,5 ათასი ლარი). **2021 წელს –** ქ.თელავის №1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები (315,8 ათასი ლარი). ამჟამად **მიმდინარეობს:** სოფ. იყალთოსა და ქ. თელავის №1 საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია. 2021 წლის ივლისში დაიწყო ქ. თელავის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, თელავის საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 2323-დან 3065-მდე გაიზარდა. 329,64 ლარამდე გაიზარდა **კვების წლიური თანხა** – თითოეულ აღსაზრდელზე, სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 31 საბავშვო ბაღში, სადაც 709 ბავშვია. სულ საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 173 აღმზრდელ-პედაგოგი, 232 აღმზრდელი და 32 ექიმი/ექთანი ემსახურება.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 27 საჯარო სკოლა** (ქალაქში – 9, სოფლად – 18, მათგან 1 მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელში). სკოლებში 8290 მოსწავლე (23 – მაღალმთიანი დასახლების სკოლაში), 795 მასწავლებელი (18 – მაღალმთიანი დასახლების სოფელში) და 42 – სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 189 სსსმ მოსწავლე. 19 საჯარო სკოლას 42 მანდატური ემსახურება. თელავში ფუნქციონირებს ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი (3 ფსიქოლოგი და 1 სოცმუშაკი). ინტეგრირებული კლასი შექმნილია ქ.თელავის №9 საჯარო სკოლაში სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, თელავის მუნიციპალიტეტში, განახორციელა არაერთი პროგრამა, მათ შორის:** 2017-2019 წლებში, **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით** 8 სკოლას 67 კომპიტერი გადაეცა. 2016-2018 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით 33 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა. 2019-2021 წლებში, „ახალი სკოლის" მოდელი თელავის მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლაში დაინერგა. ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, **„ახალი სკოლის მოდელის"** ფარგლებში, 2019 წელს 4 საჯარო სკოლას 69 კომპიუტერი გადაეცა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 51 პროექტი და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 8 პროექტი განხორციელდა, **ლოკალური უსადენო ქსელით** 6 სკოლა აღიჭურვა. **2015-2019 წლებში,** თელავის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით** აღჭურვის 66 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით თელავის 17 საჯარო სკოლის (40 მიმართულება) 1821 მოსწავლე სარგებლობს (2018-2019 ს/წ I სემ.). **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ-მოდულები.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით,** 2013-2021 წლებში, თელავის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 75 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 24 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია 17. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა ხორციელდება 4 სკოლაში. **2013-2019 წლებში, MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა** თელავის №9 საჯარო სკოლაში (523,2 ათასი ლარი); ბუშეთის საჯარო სკოლაში (305,1 ათასი ლარი); აკურას საჯარო სკოლასა (323,3 ათსი ლარი) და რუისპირის საჯარო სკოლაში (331,9 ათასი ლარი).

**2013 წელს** განხორციელდა ქ.თელავისა და მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 17 პროექტი, რაზეც სულ 864,5 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** რეაბილიტაციის 6 პროექტი სულ 956,7 ათასი ლარით დაფინანსდა, ასევე განხორციელდა სოფელ ნაფარეულის საჯარო სკოლის (ოპტიმიზირებული სოფ. სანიორე) სრული რეაბილიტაცია. **2015 წელს** განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 15 პროექტი, ჯამურად დაიხარჯა 277 ათასი ლარი, ხოლო **2016 წელს** ქ. თელავის №1 და №2 საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე – სულ 14,1 ათასი ლარი. **2017 წელს** დასრულდა სოფელ წინანდლის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (161,9 ათასი ლარი); ქ. თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (47 ათასი ლარი); **ამავე წელს დაფინანსდა:** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გათბობის სისტემის მოწყობა, ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდა, სამედიცინო ოთახების მოწყობა, შშმ პირითათვის ლიფტის მოწყობა, გაზიფიკაციისა და სხვა სამუშაოები. **2018 წელს** განხორციელდა ქ. თელავის №9, სოფ. აკურის, ბუშეტისა და რუისპირის სკოლების სრული რეაბილიტაცია, ასევე ნაწილობრივი რეაბილიტაციის სხვადასხვა ტიპის პროექტი. **2019 წელს** თელავის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 16 პროექტი განხორციელდა, რაზეც, ჯამში, 761, 6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2020 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** ქ. თელავსა და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაციის 10 პროექტი განხორციელდა, რაზეც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 670,8 ათასი ლარი დაიხარჯა.

## პროფესიული განათლება

**თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი",** რომელიც 10-ზე მეტი ავტორიზებული პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა აქვს და, 2021 წელს სრულად რეაბილიტირებულ სასწავლო ბაზებზე, 160-ზე მეტი სტუდენტის მიღება შეუძლია.

**2013-2020 წლებში** სახელმწიფოს მიერ კოლეჯის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ, საერთო ჯამში, 7 მლნ 478,8 ათასი ლარი შეადგინა. იმავე წლებში, კოლეჯში ჩაირიცხა 1942 სტუდენტი (მათ შორის 20 – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირი), 2020 წელს პროფესიულ პროგრამებში 64 სტუდენტი იყო ჩართული (მათ შორის 5 – სსსმ პირი);. 2013-2019 წლებში კოლეჯი 1764-მა სტუდენტმა დაამთავრა, მათ შორის 17-მა, სსსმ პირმა. პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, 2017-2019 წლებში, 29 პროექტი განხორციელდა.

2014-2015 წლებში გარემონტდა კოლეჯის სასწავლო კორპუსი. 2019-2020 წლებში განხორციელდა კოლეჯის სრული რეაბილიტაცია.

## უმაღლესი განათლება

**ქ. თელავში ფუნქციონირებს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.** უნივერსიტეტი სულ 25 პროგრამას ახორციელებს, მათ შორსი: 15 – საბაკალავრო, 8 სამაგისტრო, 1 – სადოქტორო და 1 – მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამაა. **პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით,** 2013-2019 წლებში, სახელმწიფოს მიერ უნივერისტეტის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 1 მლნ 4,2 ათასი ლარი შეადგინა. 2013-2020 წლებში, **სოციალური პროგრამით** უნივერსიტეტში 86 სტუდენტი ჩაირიცხა. 2020 წელს სასწავლო სამაგისტრო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 23,81%-მა ისარგებლა. **2017 წელს,** უნივერსიტეტისთვის 30 პერსონალური კომპიუტერის შესყიდვაზე 35 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019 წელს კი,** უნივერსიტეტში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ლაბორატორიული კვლევები 149,6 ათასი ლარით დაფინანსდა. **2019 წელს დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს** უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო და ლიფტის მონტაჟის სამუშაოები (709,9 ათასი ლარი).

## „ქართული ოცნების" უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- **გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის განხორციელდება** სოფელ იყალთოს საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია (450 ათასი ლარი), აგრეთვე – საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია აღმოსავლეთ თელავის (3 ბაგა-ბაღი), ძველი თელავის (2 ბაღი), დასავლეთ თელავის (1 ბაგა-ბაღი) და ალაზანი-კავკასიონის (2 ბაგა-ბაღი) ადმინისტრაციულ ერთეულებში; ცენტრალური თელავის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა; საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- დაგეგმილია გათბობის მოწყობა სოფ. გულგულაშის, ლაფანყურის, ლალისყურისა და ართანას საბავშვო ბაღებში; სოფ. კონდოლში, თეთრწყლებსა და წინანდალში საბავშვო ბაღების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (85 ათასი ლარი);
- დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ ვარდისუბანში, ლალისყურსა და კურდღელაურში. ასევე, ქ. თელავის №1, №2, №3, №5, №6, №7, №8, №9 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება თელავში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- **გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის:** 2022 წლამდე განხორციელდება 10 საჯარო სკოლის (ქვემო ხოდაშნის, ქ. თელავის №5, კონდოლის, ლაფანყურის, წინანდლის, ფშაველის, ნაფარეულის, ქ. თელავის №3, ქ. თელავის №8 და ართანის სკოლები) და საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია; ამერიკული პროგრამის (MCC) ფარგლებში, განხორციელდება 4 საჯარო სკოლის (ბუშეტის, აკურის, ქ. თელავის №9 და რუისპირის სკოლები) სრული რეაბილიტაცია; 5 სკოლაში (ქ. თელავის №2, №3, №5, №6 და №8 სკოლები) მოეწყობა სამედიცინო ოთახები; გამაგრდება სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის შენობა;
- ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, ელექტროგაყვანილობის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება: სოფელ გულგულის, იყალთოს, კონდოლისა და ართანის საჯარო სკოლებში, რაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 185,5 ლარით დაფინანსდება;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**თელავში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ კულტურის ცენტრი (კულტურის სახლები სოფელ წინანდალში, აკურაში, ვანთაში, ბუშეტში, კისისხევში, კურდღელაურში, გულგულაში, ვარდისუბანში, რუისპირში, იყალთოსა და კონდოლში), ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, 5 სამუსიკო სკოლა: თელავის №1; №2 სამუსიკო სკოლები და სოფლებში წინანდლის, აკურის რუისპირის სამუსიკო სკოლა; ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება (მთავარი ბიბლიოთეკა, №1 და №2 საქალაქო ბიბლიოთეკები, საბავშვო ბიბლიოთეკა, ახალგაზრდული ბიბლიოთეკა, 22 სასოფლო ბიბლიოთეკა – ახატელი, რუისპირი, ყარაჯალა, ვარდისუბანი, თეთრიწყლები, გულგული, კურდღელაური, შალაური, კისისხევი, კონდოლი, წინანდალი, ქვემო ხოდაშენი, ბუშეტი, ვანთა, აკურა, ლაფანყური, ნაფარეული, სანიორე, ართანა, ფშაველი და ლალისყური, ა(ა)იპ კულტურისა და დასვენების პარკი „ნადიკვარი“, ა(ა)იპ სიმღერისა და ცეკვის სახელწიფო ანსამბლი.

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს:** სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმი; სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, სსიპ ნ. სულხანიშვილის სახელობის თელავის სამუსიკო სასწავლებელი, (საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტრო). ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი სოფელ წინანდალში („სილქროუდ“ ჯგუფი).

**2013 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 831,1 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 997,6 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ეწყობოდა გამოფენები, ფესტივალები, კონცერტები, კონკურსები, მწერალთა საიუბილეო და სხვა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

პირველი სამუსიკო სკოლის ბაზაზე დაფუძნდა **შ. დავითაშვილის სახელობის ნორჩ მუსიკოსთა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი.** განხორციელდა და გრძელდება ღონისძიებები, რომელთა შორის აღსანიშნავია საერთაშორისო პროექტები და, პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, დისტანციური ღონისძიებები. 2018 წელს დაფუძნდა **ყოველწლიური ფესტივალი „ხელოვნება და შემოქმედება“** (29 900 ლარი). 2018 წლიდან დღემდე, ყოველწლიურად, თელავის მუნიციპალიტეტის წარჩინებულ 30 მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს **გონიოს არქეოლოგიურ ბანაკში,** აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში (45 500 ლარი). განხორციელდა პროექტები: **„კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“** (2,6 ათასი ლარი); საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა შემოქმედებითი აქტივობების ხელშესაწყობად მოეწყო ქურთ-იეზიდ მხატვართა და ტრადიციული ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა თელავში, თბილისსა და ბათუმში (7, 8 ათასი ლარი). 2020 წელს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებში, მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის მიზნით, გაიმართა მოზარდ მაყურებელთა თეატრის წარმოდგენა სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად.


თელავის სახელოვნებო სკოლა

**2013-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის, 2013 წელს:** კისისხევის კულტურის სახლის სახურავის შეკეთება (4,7 ათასი ლარი); თელავის კულტურის სახლის ოთახების რემონტი (10,7 ათასი ლარი). **2014 წელს –** ქ. თელავში, ერეკლე II-ის გამზირზე მდებარე ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია; ქ. თელავში, ცაბაძის ქ. №7-ში მდებარე საბავშვო ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია; ქ. თელავში, ალაზნის გამზ. №20-ში მდებარე რჩეულიშვილის სახელობის ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია; ქ. თელავში, რუსთაველის ქ. №27-ში მდებარე №2 საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია (12, 8 ათასი ლარი).

**2012 წელს დაიწყო და 2019 წელს დასრულდა** თელავში ბატონის სასახლის რეაბილიტაცია და თელავის ისტორიული მუზეუმისთვის ახალი შენობის მშენებლობა (მუნიციპალური განვითარების ფონდი – 12 მლნ ლარი).

**2016 წელს** სოფ. იყალთოში აშენდა ქვევრის სკოლა-სახელოსნო – „ქვევრის სახლი“ (2 მლნ 326,6 ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი).

**2015-2018 წლებში** განხორციელდა ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები (შენობის წინ მდებარე რკინა-ბეტონის სვეტების დემონტაჟი, ფასადისა და ფოიეს რეაბილიტაცია, შენობის აღსადგენი სამუშაოების შესყიდვა) – პროექტის საერთო ღირებულება 2 მლნ 200,9 ათასი ლარია, ფონდი „ქართუ“.

**2019 წელს** განხორციელდა ქ. თელავში, ყორჩიბაშვილების ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯის სარეაბილიტაციო სამუშაოები (40 ათასი ლარი), სოფ. ვარდისუბნის კულტურის სახლის ოთახების რეაბილიტაცია (26,8 ათასი ლარი), სოფ. ახატლის ბიბლიოთეკის სახურავის შეკეთება (10, 1 ათასი ლარი); სოფელ იყალთოში კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ლალისყურსა და წინანდალში კულტურის სახლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, წინანდალში სამუსიკო სკოლის სახურავის შეკეთება, ფშაველში, კულტურის სახლის ეზოში, საბავშვო მოედნის განათების მოწყობა, ბუშეტის ბიბლიოთეკისთვის ოთახების შეკეთება, ლაფანყურის ბიბლიოთეკის კაპიტალური შეკეთება (ჯამურად 169,7 ათასი ლარი). **დასრულდა** ნიკო სულხანიშვილის სახელობის, თელავის სამუსიკო სასწავლებლის შენობის რემონტი (14 ათასი ლარი). განხორციელდა კისისხევის, რუისპირის, აკურის, ვანთის ვარდისუბნის კულტურის სახლების სარემონტო სამუშაოები.

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, თელავის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურული და კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი პროექტები განახორციელა:** თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეაბილიტაციის რამდენიმე პროექტი (ჯამურად, 474,5 ათასი ლარი); ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის სამუსიკო სასწავლებლის შენობის სანტექნიკური სამუშაოები (8 ათასი ლარი); მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში (492,2 ათასი ლარი); თელავის თეატრი – ხელფასების მოწესრიგება, სპექტაკლების „ფსიქოზისა“ და „მე პაწია მერცხალი ვარ“ დადგმა, ავტომობილისა და ინვენტარის შეძენა, კომუნალური ხარჯი, გასტროლი (58 ათასი ლარი), „თელავის ფესტივალი“ (9,9 ათასი ლარი), სამუზეუმო გამოფენები – გამოფენათა სერია: ფიროსმანი მირზაანის მუზეუმის კოლექციიდან (5,7 ათასი ლარი). 2020 წელს განხორციელდა ახალი შუამთის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კედლის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოები და სხვ.

**2019 წელს**, საქართველოს მასშტაბით, მათ შორის თელავის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების და ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები: **„ციხესიმაგრეები მომავლის მცველები“** (16,2 ათასი ლარი), **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხა და შესწავლა“** (19,7 ათასი ლარი) და **„საქართველოს კერამიკის გზა“** (24,6 ათასი ლარი).

2018 წელს გაიხსნა **თელავის ისტორიული მუზეუმი** და მიხეილ შენგელიას სახელობის **ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი** (მუნიციპალური განვითარების ფონდი). 2018-2021 წლებში, თელავის ისტორიული მუზეუმს 69 107 დამთვალიერებელი სტუმრობდა, სამინისტროს ორგანიზებით მოეწყო 48 გამოფენა.

მუნიციპალიტეტზე გადის ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტი – **„იტერ ვიტის-ღვინის გზა“** და სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტი **„ალ. დიუმას კვალდაკვალ“,** რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული ტურიზმის განვითარებას.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ჩართულობით არაერთი კულტურული ღონისძიება და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი განხორციელდა. მათ შორის: ჩატარდა ტრადიციული ფესტივალი მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან-ამაღლებამდე“ (50 ათასი ლარი); ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ (20 ათასი ლარი); 2017-2018-2019 წლებში პროექტში „ცოცხალი წიგნები“ 80-მდე მწერალი იყო ჩართული; 2020 წელს, სამინისტროს ხელშეწყობით, მოეწყო მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლი თეთრწყლებში (12, 2 ათასი ლარი). „მუსიკის საეთაშორისო ფესტივალის“ ფარგლებში ჩატარდა 7 კონცერტი, 10 მასტერკლასი და ლექცია.

**2018 წელი** – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, განხორციელდა ქ. თელავში, ახოსპირელის ქ. №6, უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (24,4 ათასი ლარი); იყალთოს ღვთაების ტაძრის ჩრდილოეთი შესასვლელის დროებითი გამაგრების პროექტი; ქ. თელავში, ბატონის ციხის ტერიტორიაზე, სანკვანძის მოწყობის პროექტი.

**2020 წელი** – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, განხორციელდა ახალი შუამთის ღვთისმშობლის შობის ტაძრის კედლის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოები (60 ათასი ლარი) .

## სპორტი

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებუ-**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ლი ა(ა)იპ თელავის სასპორტო გაერთიანება.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია:** ჭიდაობა, ფეხბურთი, რაგბი, ძიუდო, ფრენბურთი, მკლავჭიდი, ჭადრაკი, კრივი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და კარატე.

**2013 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 796,1 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 362,3 ათასი ლარი იყო.

**2013-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: 2013 წელს**: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანაში მინისტადიონის მოწყობა (33,1 ათასი ლარი). სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით ქ. თელავში დაიდგა ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობა (8,8 ათასი ლარი). **2014-2016 წლებში:** რუისპირში ორი მინი სპორტული მოედნის მოწყობა (30 ათასი ლარი); ლაფანყურში მინი სპორტული მოედნის აღდგენა-შეკეთება (5 ათასი ლარი); ვარდისუბანში სტადიონის ტერიტორიის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (5 ათასი ლარი); სპორტული ინვენტარის შეძენა სოფლებისთვის: კონდოლი (22 ათასი ლარი) და ლალისყური (11,6 ათასი ლარი); იყალთოში მინისტადიონის მოწყობა (61 ათასი ლარი); ყარაჯალაში სტადიონის (28 ათასი ლარი), წინანდალში – მინისტადიონის (20,7 ათასი ლარი), კურდღელაურში – ფეხბურთის მოედნის (21,7 ათასი ლარი) რეაბილიტაცია, ვარდისუბანში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (20,3 ათასი ლარი); ვანთაში მინისტადიონის მოწყობა (104,5 ათასი ლარი); ნაფარეულში სტადიონის ტრიბუნაზე სკამებისა და საშხაპეების მოწყობა (16,1 ათასი ლარი); ფშაველის კულტურის სახლის ეზოში საბავშვო მოედნის განათების მოწყობა (3,5 ათასი ლარი). **2017 წელს:** ქ. თელავში, ანთაძის სახელობის სპორტულ სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა (420 ათასი ლარი); ფრენბურთის მოედანის მოწყობა წინანდალში, მინისტადიონის რეაბილიტაცია იყალთოში, მინისტადიონების მოწყობა სოფლებში: გულგულა, ფშაველი და კურდღელაური (ჯამში – 179,5 ათასი ლარი). **2018 წელს:** სოფელი ვარდისუბნის საჯარო სკოლასთან სპორტული მოედნის მოწყობა – (85 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); სოფელ კისისხევში ხელოვნურსაფარიანი სპორტმოედნის მოწყობა (96,6 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); ქ. თელავში, ზუზუმბოს ქუჩაზე, ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობა (28,2 ათასი ლარი). **2019 წელს დასრულდა:** სოფ. ლაფანყურში სპორტული მინიმოედნის მოწყობა (81 ათასი ლარი); სოფ. რუისპირში ქვიშის ფრენბურთის მოედნის მოწყობა (17,8 ათასი ლარი); სოფ. ფშაველში სპორტული მინიმოედნის მოწყობა (74,4 ათასი ლარი, რეგიონული განვითრების ფონდი); სოფ. წინანდალსა და ქ. თელავში, კავკასიონის, კვირიკე დიდისა და მშვიდობის ქუჩების მიმდებარედ ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (340 ათასი ლარი).

**2015 წელს დაიწყო და ამჟამად ექსპლოატაციაში შესვლის პროცესშია, თელავის ორდარბაზიანი მულტიფუნქციური კომპლექსი, პროექტის ღირებულება 45 მლნ 500 ათასი ლარია და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა.**

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა, თელავის


თელავის სარაგბო ბაზა

მუნიციპალიტეტში, 2013-2016 წლებში, 5 შიდა ჩემპიონატი (70,3 ათასი ლარი) და 5 საერთაშორისო ტურნირი (488,3 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 2 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (8,8 ათასი ლარი) და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (15,6 ათასი ლარი). 2017-2018 წლებში, სამინისტრომ მუნიციპალიტეტს 1,8 ათასი ლარის სპორტული ინვენტარი გადასცა.

**2018-2020 წლებში:** ჩატარდა „ევროპის სპორტის კვირეული"; აღინიშნა საერთაშორისო დღე „სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის"; 2019 წელს ჩატარდა ქალთა და მამაკაცთა საერთაშორისო ტურნირები ჩოგბურთში; 2021 წელს, 26 ივნისს, ქ. თელავში ჩატარდა ევროპის ფინალური მატჩი რაგბიში: საქართველო-ნიდერლანდები, რომელიც საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ თელავის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** ტრენინგი „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ონლაინ კამპანია – არა სიძულვილს"; „მოხალისეობის განვითარების პროგრამა", მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს: „თანამედროვე არტისტების თვალით დანახული 1990-იანი წლების საქართველო" (8,7 ათასი ლარი); „ნაბიჯები უკეთესი მომავლისთვის" (4,3 ათასი ლარი), პროექტი მიზნად ისახავდა დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებას; „საზაფხულო სკოლა – განათლება განვითარებისთვის" (22,1 ათასი ლარი). ჩატარდა ერთკვირიანი საზაფხულო სკოლა, სადაც მონაწილეობდა 50 სტუდენტი თბილისისა და 8 რეგიონის უნივერსიტეტებიდან, პარიზის უნივერსიტეტის Université Paris 8 Vincenne à Saint-Denis-ის 8 სტუდენტი და 2 დოქტორანტი, აგრეთვე – ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტის 5 სტუდენტი. პროექტის მიზანი იყო ზამთრის სკოლაში წაკითხული ლექციების ტექსტური ვერსიის წიგნად გამოცემა/გავრცელება. მუნიციპალიტეტში 2018 წლიდან ხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამა. ტარდება ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?", რომელშიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდები (25-30 გუნდი) მონაწილეობენ. გამარჯვებულ გუნდს „მერის თასი" გადაეცემა. **ყოველწლიურად თელავის მერია** სხვადასხვა სფეროში წლის წარმატებულ ახალგაზრდებისთვის ატარებს საზეიმო შეხვედრას და მათ სამახსოვრო საჩუქრებსა და მადლობის სიგელებს გადასცემს.

**2013-2020 წლებში,** თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაციაზე, საერთო ჯამში, 20,4 ათასი ლარი დაიხარჯა.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით თელავის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებების დაფინანსება და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- თელავის ისტორიულ მუზეუმში დაცული კულტურული ფასეულობების ფონდების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სისტემატიზაციის მიზნით, განხორციელდება ელექტრონული აღრიცხვის სისტემის (www.egmc.gov.ge) ადმინისტრირება და სისტემაზე გარე მომხმარებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- 2022-2025 წლებში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, განხორციელდება იყალთოს საეკლესიო არქიტექტურული კომპლექსის ფერისცვალების ეკლესიის პროექტირება/რეაბილიტაცია (250 ათასი ლარი); ახალი შუამთის დედათა მონასტრის ეზოს ტერიტორიაზე მდებარე ნაგებობების რეაბილიტაცია (3 მლნ ლარი);
- **2023 წელს** დაგეგმილია ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტრის რეაბილიტაცია;
- **2024 წელს** განხორციელდება ალავერდის ტაძარის რებილიტაცია და იყალთოს საეკლესიო არქიტექტურული კომპლექსის ფერისცვალების ეკლესიის რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას;
- დაგეგმილია გარე სავარჯიშო მოწყობილობების მონტაჟი ქ. თელავსა და სოფლებში: ვარდისუბანი, იყალთო, რუისპირი, გულგულა, შალაური, კურდღელაური, კონდოლი, წინანდალი, ნაფარეული, ართანა, ლაფანყური ჯუღაანი, თეთრწყლები, ლეჩური (ჯამურად – 440 ათასი ლარი);
- დაგეგმილია ქ. თელავში 14 ერთეული დახურული და ღია ტიპის სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა (396,1 ათასი ლარი);
- განხორციელდება ქ. თელავში კრივისა და ძალოსნობის დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო და გაზმომარაგების სამუშაოები (56,5 ათასი ლარი), სოფელ ბუშეტის მინისტადიონის მოწყობა (70 ათასი ლარი) და თამაზ ანთიძის სახელობის სპორტული სკოლის რეაბილიტაცია (3 მლნ 550 ათასი ლარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

ჩვენი ქვეყნისა და კუთხის თითოეული პატრიოტი ოცნებობს, ერთხელ მაინც მიეცეს შესაძლებლობა - საკუთარი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განვითარებაში წვლილი შეიტანოს. როგორც ამ კუთხის შვილს, უდიდესი სიამაყით მავსებს განცდა, რომ თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, მომავალი 4 წლის განმავლობაში შევძლებ, საჯარო სამსახურში მიღებული გამოცდილება თელავისა და თელაველების საკეთილდღეოდ მივმართო.

თქვენსა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაციით, გვექნება პრიორიტეტული მიმართულებები, მათ შორის: თელავის, როგორც რეგიონული მიზიდულობის ცენტრის ფორმირება; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროების მეტად განვითარებისთვის; მოსავლის შეუფერხებლად რეალიზაცია; სოფლად მცხოვრები ადამიანების დასაქმების ხელშეწყობა; წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება.

მაქვს ამბიცია, თელავში, როგორც საუნივერსიტეტო ქალაქში, აშენდეს სტუდენტური საცხოვრებელი კორპუსები და გაძლიერდეს განათლების კერები; ასევე, ვფიქრობ, ჩვენი მუნიციპალიტეტი იმსახურებს გივი ჩოხელის ისტორიული სტადიონის ადგილას ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტადიონის მშენებლობას. მჯერა, დასახულ მიზნებს აუცილებლად მივაღწევთ და ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციით, დადებითი შედეგები დადგება ჩვენი მუნიციპალიტეტის ევროპული ტიპის დასახლებად ჩამოყალიბების პროცესში; დარწმუნებული ვარ, ერთად ხელშესახებ შედეგს მივაღწევთ ყველა მიმართულებით!

გარწმუნებთ, მე და ჩემი გუნდი ყველაფერს გავაკეთებთ თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის, ახალგაზრდა თაობისთვის საცხოვრებლად მიმზიდველი გარემოს შექმნის, ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტურად წარმართვისთვის.

ერთიანი ძალისხმევით, ყველაფერს მივაღწევთ და გავიმარჯვებთ თელავის მუნიციპალიტეტში!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.